

♦♦♦♦♦ **ფ ა ს ი** ♦♦♦♦♦

კერძო პირთათვის 15.000 მანეთი.

სახელმწიფო დაწეს. 10.000 მანეთი.

ზრლოვერტარებო ვეველა ქვეენისა, შვეტრეფელნი

სიხლირთიქს

წელიწადი  
მეორე

# მთაბე

შაბთი,  
დეკემბრის 28.  
1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 44

ეოველ კვირეული ორგანო.

№ 44

ქურნალ „მთაბე“-ს რედაქციისაგან.

ვეველა ხელის მოძწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საეურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

**ყურნალი უფასოდ არავის გაეგზავნება.**

უველა ხელის მოწერი ვალდაჟულია გადაიხადოს მათჟე დარკუნილი ხელის მოწერის ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოუსკობათ ქურნალის გზავნა.

ყოველგვარი განცხადების ფასი: სტრიქონი—10.000 მანეთი.

დოკუმენტების დაპარგვის შესახებ დასაბუჯდი განცხადებების ფასი 30.000 მანეთი.

ყურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.



რედაქცია ღიაა დღის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 8—59.

# ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი      გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე

## ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი.

### დადგენილება № 13.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია, რომელიც შესდგება საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, ჯანმრთელობის, შრომის, განათლების, იუსტიციის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, მუშათა მთლიანი კოოპერატივისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების თითო წარმომადგენელთაგან.

2. კომისიის დანიშნულებას შეადგენს:

ა) დამუშავება და სათანადო ორგანოების შემწეობით განხორციელება იმ ღონისძიებათა, რომელიც მიმართული იქნება ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, რისთვისაც კომისია შეიმუშავებს და სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური ორგანოების მეშვეობით ცხოვრებაში გაატარებს ქალთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის კანონებს;

ბ) განსაზღვრა და განხორციელება, სათანადო ორგანოების მეშვეობით დედობისა და ბავშობის დაცვის სხვადასხვა დაწესებულებათა ორგანიზაციისა, მარტოხელა ქალთათვის შევრდომების სახლთა მოწყობისა და სხვა.

გ) ხელის შეწყობა ქალთა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობისათვის;

დ) ბრძოლა სიღარიბისა, უმუშევრობისა და ჰრასტიტუციასთან ქალთა შორის-მათი ჩაბმით შინა-მრეწველობისა, სასოფლო მეურნეობისა და სხვ. არტელებში, მათთვის მატერიალური შემწეობის აღმოჩენით, სათანადო ორგანიზაციების მეშვეობით, და აგრეთვე უმუშევრებისათვის საგანგებო დახმარებით.

3. კომისია გამოყოფს თავისი შემადგენლობიდან საქმიან პრეზიდიუმს სამი კაცისაგან ქალთა განყოფილების წარმომადგენლის აუცილებელი მონაწილეობით.

4. კომისიის უფლება ეძლევა ამა თუ იმ მუშაობისათვის კოოპტაციით მოიწვიოს სახალხო კომისარიატების სხვა წარმომადგენელიც.

5. კომისიის ყველა დადგენილებას დაამტკიცებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და განხორციელდება სათანადო საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების მეშვეობით.

6. კომისიის ჰყავს მუდმივი მდივანი და სარგებლობს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ტექნიკურ აპარატს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე

1922 წ. ოქტომბრის 30  
ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 14.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.


სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამა 1922 წ. მაისის 26-ს გამოცემულ მიწათმოწყობის დებულების ზოგიერთი მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ.

1922 წ. მაისის 26-ს გამოცემულ მიწათმოწყობის დებულების ზოგიერთი მუხლების შესაცვლელად და დასამატებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დებულების პირველ მუხლში სიტყვა—„ერთიან“ შეიცვალოს სიტყვით—„მთლიან“; ამავე მუხლის მეორე აბზაცი შესწორდეს ასე: „ამ ფონდს განაგებს და აწესრიგებს მხოლოდ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი“.

2. დებულების მე-6 მუხლი მეორე აბზაციდან ბოლომდე შეიცვალოს შემდეგნაირად: „მოხუცებულ-დავრომილთ, ქვრივ-ობოლთ, რომლებიც ადგილობრივ ცხოვრობენ, აგრეთვე მიწის—მუშა წითელ არმიელს, მილიციონერს და ყველას, ვინც მობილიზაციით დროებით მოწყვეტილი იქნება მენობას,—დაეტოვება სრული ნორმა“.

ყველა მუშა-მოსამსახურეს, რომელიც მსახურობს საბჭოთა სახელმწიფო დაწესებულებაში და წარმოებაში, აგრეთვე კერძო წარმოების მუშებს,—დაეტოვება ნახევარი მიწის ნორმა.



8. დებულების მე-8 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად: მიწა მიეცემა ყველა მოქალაქეს, რომელიც პირადი შრომით ამუშავებს მიწას და რომლის საცხოვრებელ წყაროსაც შეადგენს სოფლის მეურნეობა, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებს მშრომელთა წრის ქვრივს, ობლებს და დავრდომილთ. ფონდიდან მიწის მიცემა სწარმოებს თავისუფალი მიწის ფონდის რაოდენობის მიხედვით.

შენიშვნა: მიწით პირველ რიგში დაკმაყოფილებულ უნდა იქნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი.

4. დებულების მე-15 მუხლს ბოლოში დაემატოს შემდეგი: დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით და ჰკარგავს მიწის სარგებლობის უფლებას, ხოლო თვით ხელშეკრულება გაუქმებულიად ჩაითვლება.

სრულიად საქართვე. საბჭ. ცენტრ.  
აღმას. კომიტ. თავმჯდ. ფ. მახარაძე.

სრულიად საქართვე. საბჭ. ცენტრ  
აღმას. კომიტ. მდივანი თ. კალანდ. ძე.

1922 ნოემბრის 1.  
ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 15

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სასაზღვო საზღვარების დამცველთა შესახებ.

1. 1921 წლის ივლისის 30-ს თარიღით გამოცემული სახალხო სასამართლოს დებულების შეცვლად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადაგნის: ხსენებული დებულების 65—72 მუხლები შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

მუხ. 65. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეთა საბჭოსთან დაარსდეს სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეების დამცველთა კოლეგია.

დამცველთა კოლეგიის მოქმედების მოწესრიგება მოხდება იუსტიციის სახალხო კომისარის მიერ გამოცემული განსაკუთრებული დებულებით.

მუხ. 66. დამცველთა კოლეგიის პირველი შემდგენილობის წევრებს, რიცხვით 30-ზედ არა ნაკლებს, ამტკიცებს იუსტიციის სახალხო კომისარი სახალხო მოსამართლეთა საბჭოს წარდგენით. შემდგომში კოლეგიაში წევრებს მიიღებს კოლეგიის პრეზიდიუმში და ამას აცნობებს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს, რომელსაც კოლეგიის ახალ მიღებული წევრის უკუქცევის უფლება ეძლევა.

შენიშვნა: დამცველთა კოლეგიის წევრს არ შეუძლიან დაიჭიროს თანამდებობა სახელმწიფო დაწესებულებასა და წარმოებაში, გარდა: 1) იმისა, ვინც იურის კონსულტის მოვალეობას ასრულებს; 2) იმისა, ვისაც სახელმწიფო თანამდებობისა და თანამდებობისა სასამართლო უწყებაში; 3) იურიდიული მეცნიერების პროფესორისა და მასწავლებლისა.

მუხ. 67. დამცველთა კოლეგიის წევრების საზოგადო კრება თავის წრიდან აირჩევს კოლეგიის პრეზიდიუმს.

მუხ. 68. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმს დაევალება: ა) მეთვალყურეობა და კონტროლი დამცველთა მიერ თავიანთი მოვალეობის ასრულებისათვის.

ბ) დადგება დისციპლინარული სასჯელისა კოლეგიის წევრზე; ამასთანავე დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კოლეგიის პრეზიდიუმის ეს დადგენილება სახალხო მოსამართლეთა საბჭოში განასახიეროს.

გ) განკარგულება იმ ფულის თანხისა, რომელიც 70 მუხლის წესით კოლეგიის ფონდში შევა.

დ) დანიშნა დაცვისა უსასყიდლოდ, აგრეთვე ნიხრით 69 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტების წესისამებრ.

ე) კონსულტაციის მოწყობა მცხოვრებთათვის იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად.

მუხ. 69. დამცველთა შრომის გასამრჯელო განისაზღვრება შემდეგი საფუძველით: ა) ის, ვინც სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული დადგენილებით ხელმოკლედ იქნება ცნობილი, უნდა განთავისუფლებულ იქნეს სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო საქმის დამცველისათვის ყოველგვარი გასამრჯელოს მიცემისაგან;

ბ) სახელმწიფო და კერძო წარმოების მუშასა და საბჭოთა დაწესებულებისა და წარმოების მოსამსახურეს უფლება აქვს დამცველს სასყიდელი გადაუხადოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ნიხრისამებრ;

გ) ყველა სხვა შემთხვევაში დამცველის გასამრჯელო განისაზღვრება დამცველისა და დაინტერესებული პირის შეთანხმებით.

მუხ. 70 დამცველს, დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის შესანახად და იურიდიული კონსულტაციების მოსაწყობად, თავის გასამრჯელოდან კოლეგიის ფონდში შეაქვს განსაზღვრული საპროცენტო ანარიცხი, რომელსაც დააწესებს იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

მუხ. 71. დამცველთა კოლეგიის წევრის გარდა, დამცველად შეიძლება იქნეს ბრალდებულის ან დაზარალებულის მახლობელი ნათესავი, სახელმწიფო დაწესებულებისა და წარმოების რწმუნება აღქურვილი წარმომადგენელი აგრეთვე წარმომადგენელი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ცენტრალური კავშირისა და პროფესიონალური თუ საზოგადოებრივი სხვა ორგანიზაციისა. სხვა ვისიმე დამცველად ყოფნა შეიძლება მხოლოდ იმ სასამართლოს განსაკუთრებული ნებართვით, სადაც სწარმოებს საქმე.

მუხ. 72. დამცველთა მოქმედების უმაღლესი ზედამხედველობა, კოლეგიის წევრის უკუქცევის

უფლებით, ეკუთვნის იუსტიციის სახალხო კომისარს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის 1922 წლ. ნოემბრის 15-დან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდარიძე.

1922 წ. ნოემბრის 2. ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 16.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

#### ამნისტიის შესახებ.

დიდი პროლეტარული რევოლუციის ხუთი წლის შესრულების აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. იმას, ვისაც ამ დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს უმაღლესი ზომის სასჯელი, შეეცალოს ეს სასჯელი ათი წლით თავისუფლების აღკვეთად სასტიკი იზოლიაციით.

2. იმას, ვისაც ამ დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა არა ნაკლებ ერთი წლისა, თავისუფლების აღკვეთის ან იძულებითი მუშაობის ვადა შეუმცირდეს ნახევრად და ამასთანავე ჩეთვალოს სასჯელის უკვე მოხდილი ნაწილი.

3. განთავისუფლებულ იქნეს სრულიად სასჯელისაგან და ყველა მისი შედეგისაგან (გარდა უკვე სისრულეში მოყვანილი ქონებრივი გადასახადებისა) ის, ვისაც ამ დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა პირობით და თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა ერთ წელზე ნაკლები ვადით და სხვა მცირე სასჯელი.

შენიშვნა: უკეთუ ამ დადგენილების 1-ლ, მე 2 და მე 3 მუხლში აღნიშნულ პირთა საქმე ჯერ არ არის განხილული და საქმეთა იმ კატეგორიას არ უდგება, რომელიც ამა დადგენილების მე-4 მუხლის ძალით მოსპობილ უნდა იყოს, ამნისტიის საკითხი გადაწყდება ამ დადგენილებაში აღნიშნული წესის თანახმად საქმის განხილვის დროს.

4. განთავისუფლებულ იქნეს სრულიად გასამართლებისაგან ამ დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის, რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს, ის საქმე, ის ბრალდებული, რომლის საქმეც განხილული არ იქნება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისათვის.

რეობაშიც უნდა იყოს საქმე, ის ბრალდებული, რომლის საქმეც განხილული არ იქნება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შემოღებამდე (15 ნოემბრამდე), უკეთუ მას ბრალდება ისეთი მოქმედება, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსში დაწესებულია ამ დადგენილების მე 3 მუხლში აღნიშნული სასჯელი.

შენიშვნა: მე 3 და მე 4 მუხლი გავრცელებულ იქნეს აგრეთვე ადმინისტრატიულ სასჯელზედაც.

5. სრულიად განთავისუფლებულ იქნეს სასამართლოსა და სასჯელისაგან ის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც სამხედრო სამსახურისაგან თავის ასარიდებლად ნაწილიდან ან სამსახურის ადგილიდან გაქცევისათვის მსჯავრდებულ იქნა ან რომელსაც ამ დანაშაულის ჩადენა ჰბრალდება, უკეთუ იგი ნებაყოფლობით გამოცხადდა ამა დადგენილების გამოცემის დღემდე ან ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში სამსახურში ჩასარიცხავად სამოქალაქო ან სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთან.

შენიშვნა: ეს მუხლი გავრცელებულია აგრეთვე დეზერტირის დამხმარეზე და დამფარველზე.

6. ამა დადგენილების 1-ლ და მე 2-რე მუხლში აღნიშნული შეღავათი სრულებით არ გავრცელებულია იმ პირზე, რომელსაც შემდეგი დანაშაული ჩაუდენია:

- ა) კონტრ-რევოლუციონური მიზნით მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აჯანყებისა, ან მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეთა წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტებში და იმავე მიზნით მოწყობა აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საშუალებით რკინის გზის ან სხვა რამ გზის და მიმოსვლის საშუალებათა, წყალსადენათა, საზოგადოებრივ საწყობათა და სხვ. განადგურება დაზიანებისა და ასეთ დანაშაულში მონაწილეობა;

- ბ) ჯაშუშობა,
- გ) სახელმწიფოებრივი ღალატი,
- დ) ბანდიტიზმი და
- ე) მექრთამეობა.

7. ყველა, სხვა კონტრ რევოლუციონური მოქმედების გამო, დაევალოს სათანადო სასამართლოს ან სხვა დაწესებულებას—გადასწყვიტოს საკითხი ამნისტიის გავრცელების შესახებ აღნიშნულ მოქმედებისათვის იმ მსჯავრდებულზე, რომლის სასჯელის ვადის შემცირება ან სასჯელისაგან სრული განთავისუფლება, საქმის ვითარების მიხედვით, საშიშროებას არ წარმოადგენს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისათვის.

შენიშვნა: იმ პირის შესახებ, ვისი საქმეც ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე განხილული არ იქნება, მე-7 მუხლში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს საქმის განხილვისას.

8. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული



სასჯელი მხოლოდ ერთი შესაძლებელი შემთხვევაში იქნება, ვისაც ამა დადგენილების გამოცემამდე შემდეგი დანაშაული ჩაუდენია: მონაწილეობა წესიერების მასიურ დარღვევაში, ყაჩაღობა, ძარცვა, სქესობრივი ძალადობა, მკვლელობა, ჩადენილი ბრალის დამამძიმებელ გარემოებაში, ყალბი ფულის მოქრა და ყალბი საბუთის დამზადება, დეზერტირობა და თანამდებობრივი დანაშაული ანგარების ხასიათისა.

9. ამა დადგენილების მე-2 და მე-8 მუხლში აღნიშნული შეთავაზი არ გავრცელდება იმ პირზე, ვისაც უშუალოდ ზომის სასჯელი გადაეწყვიტა მაგრამ ეს სასჯელი იგივე განაჩენის გამოტანის დროს ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, ან წინანდელ ამნისტიების ძალით უკვე შეცვლილ იქნა თავისუფლების აღკვეთად.

10. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს იმ მსჯავრ დადებულზედაც, წინა მუხლში აღნიშნულთა გარდა, ვისაც შეეხო წინანდელი ამნისტიები.

11. დადგენილება ესე არა ვრცელდება კერძო ბრალდების წესით აღძრულ საქმეებზე, რომელიც შეიძლება მორიგებით დამთავრდეს.

12. ამა დადგენილების ძალით განთავისუფლება სამართლისა და სასჯელისაგან არ ანთავისუფლებს დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან; ხოლო უკვე განცხადებული სამოქალაქო სარჩელი, ჯერ განუხილველი, მაგრამ ამა დადგენილების ძალით მოსასპობი საქმის გამო, განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის წესით.

13. დადგენილება ესე არა ვრცელდება გამოძიებასა და სამართალში მყოფ ბრალდებულზე ან სამართალში მიცემულ ისეთ პირზე, რომლის შესახებ დადგენილი განაჩენი, მის, მიერ საკასაციო საჩივრის აღძვრის გამო, ჯერ კანონიერ ძალაში არ შესულა, უკეთუ, ერთი თვის განმავლობაში დღიდან მასზე ამ ამნისტიის გავრცელებისა, ითხოვს საქმის განხილვას, იმ აზრით, რომ სასამართლოში თავი გაიმართლოს.

**შენიშვნა:** ეს მუხლი გავრცელდება წინანდელ ამნისტიებზედაც.

14. ამა ამნისტიის შეფარდება იმ პირთათვის, რომელნიც სასჯელს უკვე იხდიან, დევალოს იმ სასამართლოს ან სხვა დაწესებულებას, აგრეთვე აღმინისტრაციულ ორგანოს, რომელთა განაჩენით ან დადგენილებით ხსენებული პირნი სასჯელს იხდიან, ხოლო იმ ბრალდებულთათვის, რომელთა საქმეც განუხილველია, მაგრამ მოსასპობი კი—დაევალოს სასამართლოს ან სხვა დაწესებულებას ქვემდებარეობისამებრ.

15. საგამომძიებლო ორგანოებმა, ამა დადგენილების მე-4 მუხლის ძალით მოსასპობი საქმე, თავიანთი დასკვნით უნდა წარუდგინონ მოსასპობლად სათანადო სახალხო სასამართლოს ან რევოლუციური ტრიბუნალს.

16. მთელი მუშაობა ამა დადგენილების განსახორციელებლად დასრულებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა.

17. თვალყურის დევნება იმისა, რამდენად დადგენილება სწორედ და მტკიცედ იქნეს შესრულებული, იუსტიციის სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით, დაევალოს: ა) იმ პირთა შესახებ, რომელნიც გამასწორებელ სახლში სასჯელს იხდიან—ცენტრალური დასჯა გასწორების განყოფილების განმანაწილებელ კომისიას; ბ) იმ პირთა შესახებ, რომელნიც იძულებითი მუშაობას იხდიან—იძულებითი მუშაობის ბიუროს; გ) ყველა დანარჩენის შესახებ—იუსტიციის კომისარიატთან არსებულ სასამართლოს მომწყობ განყოფილებას.

18. ყოველგვარი განმარტებისათვის, საჩივრით ამნისტიის მუხლების არა—სწორე შეფარდებისათვის ან შეუფარდებლობისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც იგი შეფარდებულ უნდა ყოფილიყო, უნდა მიმართონ სათანადო შემთხვევაში ზემო მუხლში დასახელებულ დაწესებულებებს, რომელთაც ყველა ამ შემთხვევის შესახებ უნდა მოახსენონ იუსტიციის სახალხო კომისარს, რომელზედაც დამოკიდებულია საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა.

19. დადგენილება ესე მოქმედებაში შევიდეს ტელეგრაფის საშუალებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. კალანდარიძე.

1922 წ. ნოემბრის 7.  
ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 17

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასხლდის სამართლის კოდექსის შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. 1922 წლის 15 ნოემბრიდან შემოღებულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის, სამხრეთ ისეთის ავტონომიური ოლქის და აფხაზეთის სოც. საბჭ. მოკავშირე რესპუბლიკის მთელ მიწა-წყალზედ.

2. სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლისთანავე გაუქმებულ იქნეს ყველა სხვა ნორმა, რომლითაც კოდექსის შემოღებამდე დაწესებული იყო სისხლის სამართლით დასაღები სასჯელის საფუძველი და ზომა.

3. სისხლის სამართლის კოდექსი გავრცელებულ იქნეს ყველა იმ დანაშაულებრივ ქმედებაზე,



რომელიც კოდექსის სასჯელის შემოღებამდე სასამართლოს წესით არა ყოფილა განხილული.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ნოემბრის 9  
ტფილისი-სასახლე.

### დადგენილება № 18.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა საქართველოში რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის გაუქმებისა და საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან სიმშვილობის შედეგებთან მებრძოლი ცენტრალური კომისიის დაარსების შესახებ.

ახალი მოსავლის მოწვევის გამო სიმშვილობის უშუალო სიმწვავე რამდენიმეთ განულდა; თავის თავად მოიხპო განსაკუთრებულ და არაჩვეულებრივ დონის ძიებათა საქარობა სიმშვილობასთან ბრძოლის საქმეში.

დღეს-დღეობით მთავარ საზრუნავ საგანს წარმოადგენს სიმშვილობის შედეგის ლიკვიდაცია, სახელდობრ — ხელის შეწყობა დანგრეულ მეურნეობათა აღდგენისათვის და სიმშვილობის გამო ლტოლვილთა და უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომელთაც დაკარგეს თავიანთი მეურნეობა; ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ომისა, შოკისა და სიმშვილობის ინვალიდების და აგრეთვე უპატრონო ბავშვთა დახმარების საქმეს.

ამის გამო სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონურ კომიტეტთან 1921 წლის აგვისტოს 4 ს დაარსებული რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი და მისი ადგილობრივი ორგანოები დაშლილ იქნეს ამა წლის ოქტომბრის 15-დან.

2. სიმშვილობის შედეგების სალიკვიდაციოდ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყოს სიმშვილობის შედეგებთან მებრძოლი ცენტრალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სოკოლოვსკი და წევრები: თითო პასუხის მგებელი წარმომადგენელი უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, სასურსათო სახალხო კომისარიატისა, ბავშვთა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიისა და ინვალიდთა დამხმარე კომისიისა, ერთი რწმუნებული საერთაშორისო მუშათა დამშეულთა დამხმარე კო-

მიტეტისა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ორი წარმომადგენელი.

დაევალოს აღნიშნულ კომისიას დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტთან ერთად შეიმუშაოს დებულება კომისიის ორგანიზაციისა და მისი მოქმედების შესახებ.

3. დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ყველა საშუალებანი და ვალდებულებანი გადაეცეს ახლად დაარსებულ კომისიას.

4. განგრძობილ იქნეს შემოწირვებათა შეკრება, გადასახადებიდან ანარიცხის აღება და სხვ. და მთელი საფინანსო აპარატი გადაეცეს ახლად დაარსებულ სიმშვილობის შედეგებთან მებრძოლ კომისიას.

5. დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ყველა სახსარი მუშათა და გლეხთა ინსპექციის შემოწმების გადაეცეს ახლად დაარსებულ სიმშვილობის შედეგებთან მებრძოლ კომისიას.

6. ბავშვთა, ლტოლვილთა და სხვ. დაწესებულება, რომელიც არსებობდა დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ხარჯზე გადაეცეს სიმშვილობის შედეგებთან მებრძოლ კომისიას.

7. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს ავტონომიურ რესპუბლიკების — აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის დამშეულთა დამხმარე კომისიებზე და აგრეთვე ყველა ადგილობრივ, საოლქო, საგუბერნიო, სამაზრო, სათემო და სხვ. კომისიებზე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ნოემბრის 11  
ტფილისი-სასახლე.

### დადგენილება № 19.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

პროკურატურის შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება პროკურატურის შესახებ.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს 1921 წლ. ივნისის 30-ს დამტკიცებული დებულების მე-48, 53, 57, 58, 61, 62 და 63 მუხლების შესაცვლელად, დებულების ხსენებული მუხლები შეიცვალოს შემდეგნაირად:



# დ ე ბ უ ლ ე ბ

## სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა პროკურატურის შესახებ.

მუხ. 48. წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის ისეთი საქმისა, რომელიც უნდა გარჩეულ იქნეს სახალხო მოსამართლის მიერ ნ სახალხო მსაჯულის მონაწილეობით, დაევალება სახალხო გამომძიებელს. სისხლის სამართლის სხვა საქმის გამო სახალხო სასამართლოზე და მოკიდებული — დასჯერდეს საქმის ნაწარმოებ მოკვლევას (კვლევა ძიებას), თუ გადასცეს საქმე სახალხო გამომძიებელს წინასწარი გამოძიებისათვის.

მუხ. 53. სახალხო გამომძიებელი წინასწარ გამოძიებას უნდა შეუდგეს: 1) მოქალაქის განცხადებით, 2) მილიციისა, თანამდებობის პირის და დაწესებულების ცნობით, 3) პროკურორის ან მისი თანაშემწის წინადადებით, 4) სასამართლოს დადგენილებით და 5) თავის თაოსნობით.

მუხ. 57. გამომძიებლის დადგენილება სამართალში მიცემისა ან საქმის მოსპობის შესახებ უნდა დასაბუთებული იყოს. დასკვნითი დადგენილება სამართალში მიცემის შესახებ მთელ საქმესთან ერთად გამომძიებელმა უნდა გაუგზავნოს სათანადო პროკურორს ან მის თანაშემწეს.

მუხ. 58. თავისი დადგენილება საქმის მოსპობის შესახებ მთელ საქმესთან ერთად გამომძიებელმა უნდა გაუგზავნოს სათანადო სახალხო სასამართლოს, და ამასთანავე აცნობოს პროკურორს.

მუხ. 61. სასამართლოში ბრალმდებლობის გაწევა ევალება პროკურატურას, რომლის ორგანიზაციაც გათვალისწინებულია პროკურატურის დებულებაში.

მუხ. 62. საპროკურორო ზედამხედველობის პირი, როგორც ბრალმდებელი, მონაწილეობას იღებს სამსჯავრო (სასამართლო) სხდომაში თავისი თაოსნობით ან სასამართლოს დადგენილებით.

მუხ. 63. უკეთეს საპროკურორო ზედამხედველობა საჭიროდ სცნობს საქვეყნო ინტერესის დასაცავად ჩაერიოს ისეთ საქმეში, რომლის აღძვრა შეიძლება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, ბრალმდებლობის გაწევა ან შემთხვევაში შეუძლიან მხოლოდ პროკურატურას, და საქმე ვერ მოისპობა დაზარალებულის ბრალდებულთან შერჩევით.

3. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა უნდა მიიღოს ზომები, რათა პროკურატურა შემოღებული იქნეს აფხაზეთის რესპუბლიკაში.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის 1922 წლ. ნოემბრის 15-დან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წლ. ნოემბრის 11.

ტფილისი — სასახლე.

კანონიერებისათვის ზედამხედველობის განსახორციელებლად და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმის სწორე ნიადაგზე დასაყენებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. იუსტიციის სახალხო კომისარიატში დაწესებულ იქნეს სახელმწიფო პროკურატურა.

2. პროკურატურას დაევალოს:

ა) სახელმწიფო სახელით ზედამხედველობის განხორციელება ხელისუფლების, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციის და კერძო პირის მოქმედების კანონიერების საქმეში; ეს განხორციელება ზედამხედველობისა უნდა ხდებოდეს დამნაშავეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის დივნის აღძვრით და პროტესტის შეტანით იმ დადგენილების გამო, რომელიც დაარღვევს კანონს;

ბ) უშუალო მეთვალყურეობა ყველა საგანმძიებლო და მომკვლევო ორგანოსი და აგრეთვე საგანგებო კომისიის ორგანოთა მოქმედებისა; ამასთანავე საგანგებო კომისიის ორგანოთა მოქმედების მეთვალყურეობას ანხორციელებს რესპუბლიკის პროკურორი უშუალოდ თითონ — ან მის მიერ განსაკუთრებული რწმუნებით აღჭურვილი საპროკურორო ზედამხედველობის პირი;

გ) ბრალმდებლობის გაწევა სასამართლოში და საკასაციო პროტესტის დაცვა საკასაციო ინსტანციაში;

დ) მეთვალყურეობა პატიმრობის წესიერებისათვის.

3. პროკურატურის სათავეში, ვითარცა რესპუბლიკის პროკურორი, სდგას იუსტიციის სახალხო კომისარი. რესპუბლიკის პროკურორის უშუალო გამგებლობაში იმყოფება იუსტიციის სახალხო კომისარიატში არსებული საპროკურატურო განყოფილება.

4. რესპუბლიკის პროკურორთან არიან მისი თანაშემწენი: მათი რიცხვი განისაზღვრება შტატით. რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეებს, რესპუბლიკის პროკურორის წარდგენით, დამატუცებს და უკან გაიწვევს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

5. რესპუბლიკის პროკურორი, თავის თანამდებობისამებრ, შედის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში და სახალხო კომისართა საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით, უკეთეს მას ამორჩევით უკვე არა აქვს გადამწყვეტი ხმა მინიჭებული.

6. რესპუბლიკის პროკურორს უშუალოდ ემორჩილებიან: აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორი, რევოლიუციონური ტრიბუნალების პრო-



კურორი, აქარის პროკურორი და სამხრეთ ოსეთის პროკურორი, რომელთაც დანიშნავს და უკან გაიწვევს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროკურორი.

7. პროკურორებთან არიან პროკურორის თანაშემწენი, რომელთაც დანიშნავს ერთი ადგილიდან მეორეზედ გადაიყვანს და უკან გაიწვევს, სათანადო პროკურორის წარდგენით, რესპუბლიკის პროკურორი. პროკურორის თანაშემწეთა რიცხვი განისაზღვრება შტატირ.

8. იმ მოვალეობის აღსრულებას, რომელიც პროკურატურას აქვს დაკისრებული, ამა დებულებების მე-6 მუხლში აღნიშნული პროკურორები, ყველა თავის კომპეტენციის ფარგლებში გაანაწილებენ თავის თანაშემწეთა შორის.

9. რესპუბლიკის პროკურორს დაევალება:

ა) თვალყური ადევნოს ყველა სახალხო კომისარიატის და სხვა ცენტრალური დაწესებულების და ორგანიზაციის მოქმედების კანონიერებას და წინადადება აძლიოს ამათ გაუქმონ ან შესცვალონ მათ მიერ გამოცემული განკარგულება და დადგენილება, რომელიც კანონს არ ეთანხმება;

ბ) პროტესტი შეიტანოს საქართველოს სახალხო კომისარიატის საბჭოს ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ზემოაღნიშნულ განკარგულებისა და დადგენილების გასაუქმებლად; პროკურორის მიერ პროტესტის შეტანა პროტესტქმნილი დადგენილების ან გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას ვერ შეაჩერებს;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიოს და თვალყური ადევნოს რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეთ, აგრეთვე პროკურორთა და მათ ადგილობრივად მყოფ თანაშემწეთა მოქმედებას და განუმარტოს და აუხსნას ყველა ის საკითხები, რაც მათ მუშაობის დროს აღიმკრება;

დ) პირად თითონ განახორციელოს პროკურორისა და მისი თანაშემწის ფუნქციები იმ შემთხვევაში, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავს.

10. რესპუბლიკის პროკურორი სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ყოველ წლიურად წარუდგენს, როგორც თავის, ისე მის ხელქვეითი პროკურორის მოქმედებას ანგარიშს.

11. ადგილობრივად მყოფი პროკურორის მოვალეობას შეადგენს:

ა) თვალყური ადევნოს ადგილობრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოქმედების კანონიერებას და განმარტება მისკენ საშარო აღმასრულებელ კომიტეტებს და სხვა მათთან თანასწორ უფლებებით აღჭურვილ ადმინისტრაციულ ორგანოთ, რათა გაუქმონ ან შესცვალონ მათ მიერ, აგრეთვე მათ ხელქვეითი ორგანოების მიერ გამოცემული ის განკარგულება და დადგენილება, რომელიც კანონს არ ეთანხმება;

ბ) პროტესტი შეიტანოს რესპუბლიკის პროკურორის შემკობით ზემოდ აღნიშნული განკარგულებისა და დადგენილების გამო სახალხო კომი-

სართა საბჭოსა ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში; პროკურორის მიერ პროტესტის შეტანა პროტესტქმნილი დადგენილების ცხოვრებაში გატარებას ვერ შეაჩერებს.

12. პროკურორს ან მის თანაშემწეს შეუძლიან სათათბირო ხმით დაესწროს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ყველა სხდომას.

13. დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში პროკურატურას დაევალება:

ა) აღძვრა სამართლით დევნისა თანამდებობის და კერძო პირის წინააღმდეგ, როგორც თავისი თაოსნობით, ისე შესული საჩივრისა და განცხადების გამო;

ბ) ზედამხედველობა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიებისა, განმარტება და წინადადების მიცემა მოკვლევის და წინასწარი გამოძიების ორგანოთათვის ისეთი საკითხების გამო, რომელიც შეეხება მოკვლევის და წინასწარი გამოძიების წარმართვასა და შევსებას, აღმკვეც ზომას და აგრეთვე სხვა საკითხს, რომელსაც კავშირი აქვს წინასწარ გამოძიებასთან;

გ) სამართალში მიცემის, საქმის მოსპობის ან მისი წინასწარ გამოსაძიებლად გადაცემის საკითხის გადაწყვეტა იმ საქმის გამო, რომელიც მოკვლევის ორგანოსაგან იქნება მიღებული. პროკურატურის წინადადება ამ კატეგორიის საქმის გამო სასამართლოში მიცემის შესახებ პირდაპირ სასამართლოს გადაეცემა;

დ) დამტკიცება საბრალდებულო დასკვნისა ყველა წინასწარ გამოძიებული საქმის გამო, შედგენა საბრალდებულო დასკვნისა სამართალში მიცემის შესახებ ან დადგენილებისა საქმის მოსპობის შესახებ მომკვლევი ორგანოსაგან შემოსული საქმის გამო, და გადაცემა სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომისათვის საბოლოო გადასაწყვეტად გამოძიებლის ისეთი დასკვნითი დადგენილებისა, რომელსაც არ დაეთანხება;

ე) მონაწილეობა სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაში სამართალში მიცემის ან საქმის მოსპობის საკითხის განხილვის დროს, უკეთეს პროკურატურა თავის მონაწილეობას სხდომაში საჭიროდ მიიჩნევს;

ვ) ბრალმდებლობის გაწევა სასამართლოში და საკასაციო პროტესტის დაცვა სახალხო მოსამართლეთა საბჭოსა ან უზენაეს რეგულირაციურ ტრიბუნალში;

ზ) საკასაციო წესით პროტესტის შეტანა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენისა და დადგენილების გამო, აგრეთვე უმაღლეს სასამართლო კონტროლის წესით პროტესტის განცხადება კანონიერ ძალაში შესული პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამო და საკასაციო ინსტანციის საკასაციო გადაწყვეტილების გამო;

თ) შემოწმება პატიმრობის წესიერებისა თავისუფლების აღკვეთის ყველა ადგილას, — გამოუკვებლივ, და განთავისუფლება იმ პირისა, რომელიც არ არის წესიერად დაპატიმრებული.





14. პროკურორი იმ უფლებას, რომელითაც იგი აღჭურვილია, ანხორციელებს, როგორც პირადად თვითონ, ისე თავის თანაშემწეთა მეშვეობითაც.

15. პროკურორს უფლება აქვს მოსახოგოს მის ტერიტორიალურ კომპეტენციის ფარგლებში მოქმედ ყველა ადმინისტრაციულ დაწესებულებას და თანამდებობის პირს მისთვის საჭირო ცნობები და მასალა; ამ მოთხოვნის ასრულება დასახელებულ დაწესებულებათა და პირთათვის სავალდებულოა.

**შენიშვნა:** საგანგებო კომისიის ორგანოებს, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ამა თუ იმ საქმეს განსაკუთრებულად საიდუმლო ხასიათის საქმედ სცნობენ, უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ ამ საქმის გაცნობა იკისროს რესპუბლიკის პროკურორმა თვითონ უშუალოდ ან მის მიერ განსაკუთრებული რწმუნებით აღჭურვილმა პირმა.

16. პროკურორი ყოველ სამ თვეში ერთხელ თავისს და თავის თანაშემწეთა მოქმედების ანგარიშს უდგენს რესპუბლიკის პროკურორს.

17. ამ დებულების გამოცემისთანავე ყველა ის მოვალეობა, რაც დღემდე დაკისრებული ჰქონდათ იუსტიციის განყოფილებათ და რაც ამ დებულებით ვვალეობათ პროკურატურის ორგანოებს, გადადის მარტოოდენ ამ უკანასკნელთა გამგებლობაში.

18. დებულება ესე ძალაში შედის 1922 წ. ნოემბრის 15-დან.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას. კომიტ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას. კომიტეტ. მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ნოემბრის 11. ტფილისი — სასახლე.

### დადგენილება № 20.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საადგილ-მამულო დავათა განხილვის წესის დებულების შეცვლის შესახებ.

1922 წლის აგვისტოს 7 ს თარიღით გამოცემული საადგილ-მამულო დავათა განხილვის წესის დებულების შესაკვლელად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საადგილ-მამულო დავათა განხილვის წესის შესახებ ამა 1922 წლის აგვისტოს 7 ს თარიღით გამოცემული დებულების მე-8 მუხლი:

„ცენტრალური კომისიის გადაწყვეტილება“ და უყონებლივ შედის კანონიერ ძალაში და შესრულებულ უნდა იქნეს ისევე, როგორც დადგენილ ვადაზე განუსაჩივრებელი გადაწყვეტილება სამაზრო კომისიისა, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, რისთვისაც მომჩივანს ეძლევა საადგილ-მამულო კომისიიდან აღსრულების ფურცელი,“ შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ცენტრალური კომისიის გადაწყვეტილება და უყონებლივ შედის კანონიერ ძალაში და შესრულებულ უნდა იქნეს ისევე, როგორც დადგენილ ვადაზე განუსაჩივრებელი გადაწყვეტილება სამაზრო კომისიისა, სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილების მეშვეობით, რისთვისაც მომჩივანს ეძლევა საადგილ-მამულო კომისიიდან აღსრულების ფურცელი“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ნოემბრის 15. ტფილისი — სასახლე.

### დადგენილება № 21.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

შორაპნის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრის ქალაქ ზესტაფონიდან ქალაქ ჭიათურაში გადატანის შესახებ.

რადგანაც ქალაქი ზესტაფონი შორაპნის მაზრის ცენტრად აღიარებული იყო მხოლოდ ადმინისტრაციული მოსაზრებით, ნამდვილად კი ამ მაზრის როგორც გეოგრაფიულ ისე, მით უფრო, ეკონომიურ და სამრეწველო-საწარმოო ცენტრს წარმოადგენს ქალაქი ჭიათურა, ამის გამო სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, თანხმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1922 წ. ოქტომბრის 5-ს დადგენილებისა — ადგენს:

1. შორაპნის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი გადატანილ იქნეს ქალ. ზესტაფონიდან ქალ. ჭიათურაში.

2. ამა დადგენილების აღსრულებაში მოყვანა დაევალოს შორაპნის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტს.

3, დაველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მისცეს შორაპნის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს სათანადო სახელმძღვანელო დირექტივები.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. აღმასრ. კომიტ. თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ნოემბრის 13. ტფილისი — სასახლე.

### დადგენილება 22

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახ. კომისარათა საბჭოსი

ამა ნოემბრის 30-ს განზრახული საქართველოს, აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის ქალაქთა საერთო მოსახლეობის აღწერის სათანადო განხორციელებისათვის სავალდებულოდ ჩაითვალოს:

1. სახალხო კომისარიატებისათვის განთავისუფლება სამსახურისაგან სააღწერო დღეებში საბჭოთა იმ მომუშავეებისა, რომელნიც ადგილობრივ სააღწერო ბიუროსთან ნებაყოფლობითი შეთანხმებით, გაწვეულნი იქნებიან სააღწერო მუშაობისათვის.

შენიშვნა. გამონაკლისი შეიძლება საბჭოთა იმ მომუშავეების მიმართ, რომელთა მაგიერობის გაწევა სხვებმსათვის მოუხერხებელია მათი საკუთარი ხასიათის მიხედვით და რის გამოც მათი მონაწილეობა აღწერაში შეუძლებელი იქნება.

2. იმ შემთხვევაში, უკეთეს ადგილობრივ სააღწერო ბიუროებს საშუალება არ ექნებათ შეაგროვონ აღწერისათვის საჭირო თანამშრომლების შტატი, — მათ უფლება ეძლევათ დაიხმარონ მუშაობისათვის შრომის სკოლების მასწავლებელნი და ტექნიკუმების უფროსი კლასების მოსწავლენი, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლენი; შემოდანიშნულნი პირნი სააღწერო დღეებში განთავისუფლებულ უნდა იქნენ, სააღწერო ბიუროების სიით, მეცადინეობისაგან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომის. საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. მ. ორახელაშვილი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტ. მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ნოემბრის 20. ტფილისი — სასახლე.

### დადგენილება № 23

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შემოღების ვადის შეცვლის შესახებ.

ამა 1922 წლის ნოემბრის 9 თარიღითა და მე-17 №-ით გამოცემული დადგენილების 1 მუხლის შესაცვლელად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სისხლის სამართლის კოდექსი შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა, ავტონომიური აჭარის რესპუბლიკისა, ავტონომიური სამხრეთ-ოსეთის ოლქისა და მოკავშირე აფხაზეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე — 1922 წლის დეკემბრის 5-დან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ნოემბრის 23. ტფილისი — სასახლე.

### ბრძანება № 9.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტისა.

1. ს. ს. ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმის 10 ნოემბრის დადგენილების თანახმად, საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ კონტრ-რევოლიუციასთან, სპეკულიაციასთან, საბოტაჟთან და საწინააღმდეგო ბრძოლაში მოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველად — დაინიშნა ამხ. ეპიფანე კვანტალიანი.

2. იმავე დადგენილების თანახმად ამხ. მიხეილ ხუტულაშვილი დაინიშნა საქართველოს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარის მოადგილედ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასკომის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ნოემბრის „11“ ტფილისი — სასახლე.

# სს. კომისართა საბჭო.

## დადგენილება № 53

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

პროფესიონალური, პოლიტიკური, საბჭოთა, კოოპერატიული და სამეურნეო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების პასუხისმგებელ მომუშავეთა შრომის სასყიდლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის მაისის 23 თარიღითა და 21 №-ით გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. პასუხისმგებელ მომუშავედ ჩაითვლება პროფესიონალური, პოლიტიკური, კოოპერატიული, საბჭოთა და სამეურნეო მომუშავე, რომელიც პასუხსაგებ მონაწილეობას იღებს პროფესიონალურ, პოლიტიკურ, კოოპერატიულ, საბჭოთა და სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში და რომელიც პასუხისმგებლობას ეწევა მისდამი დაკისრებული მოვალეობის არა მარტო ტექნიკურად აღსრულებისათვის, არამედ პასუხისმგებელია აგრეთვე მისდამი დავლებული ფუნქციების იდეური და პოლიტიკური წარმართვისა და აღსრულებისათვის.

2. პასუხისმგებელი მომუშავეს სასყიდელი დაწესებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მრეწველობის ძირითად დარგებში უაღრესი სარფით დადებული კოლექტიური ხელშეკრულების საშუალო განაკვეთის მიხედვით.

**შენიშვნა:** საშუალო სატარიფო განაკვეთად ჩაითვალოს ჩვიდმეტ ხარისხიანი სატარიფო ქსელის პირველი ხარისხის განაკვეთი, რომელიც დაწესებულია საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სამეტალო, ხის მკეთებლობისა, ქიმიურისა, ტყავეულობისა და სათამბაქო მრეწველობაში დადებულ 5 კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით; ამასთანავე სატარიფო ქსელში შეთარღება დაცულ უნდა იქნეს, როგორც 1:5—

3. მე 2-ე მუხლში დაწესებული განაკვეთი რესპუბლიკის საპროვინციო ადგილების პასუხისმგებელ მომუშავეთათვის შემცირებულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი სატარიფო საბჭოს მიერ დაწესებული ზოლების თანაბრად.

4. საშუალო განაკვეთს პასუხისმგებელ მომუშავეთათვის, მე 2-მუხლის თანახმად, აწესებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით; ამასთანავე, ამა განაკვეთის გადასინჯვა უნდა სწარმოებდეს სამს თვეში ერთხელ მაინც. დადგენილი განაკვეთი გამოქვეყნებულ უნდა იქნეს შრომის

სახალხო კომისარისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მდიენის ხელმოწერით.

5. სასყიდლიან თანამდებობათა შეთავსება, აგრეთვე სხვა გვარი დამატებითი სასყიდელი, — გარდა ლიტერატურული ნაწარმოების გონორარისა და სასყიდლისა სწავლებისათვის, — აკრძალულია იმ პირთათვის, ვინც ჯამაგირს პასუხისმგებელი მომუშავეს ტარიფით მიიღებს.

6. სასყიდელი მგზავრობისა, წარვლინების, სხვა ადგილზე გადაყვანის და სხვ. პასუხისმგებელ მომუშავეთ ეძლევათ საერთო საფუძველზე.

7. პასუხისმგებელ მომუშავეთა დანაწილებას სატარიფო ხარისხებად აწარმოებენ დაწესებულებათა და წარმოებათა ორგანოები, რომლებმაც ამასთანავე უნდა იხელმძღვანელონ საამისოდ არსებული შრომის სახალხო კომისარიატის და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დებულებანი და სპეციალური ინსტრუქცია.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის 1922 წ. ოქტომბრის 1-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

მარე ს. ქავთარაძე.

შრომის სახალხო კომისარი ა. იაშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

ალ. ხალარაძე.

1922 წ. ოქტომბრის 1

ტფილისი—სახალხო.

## დადგენილება № 54.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

უსასყიდლოდ გადასული ქონების შეფასების წესის შეცვლის შესახებ.

გადასახადთა წესდების სათანადო მუხლებისა და უსასყიდლოდ გადასული ქონების კანონიერი შეფასების წესის შესაცვლელად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ქალაქად მდებარე უძრავი ქონების კანონიერ შეფასებად უნდა ჩაითვალოს სპეციალური შეფასება, რომელსაც მოახდენს რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგე ქონების ღირებულების ცნობის მიხედვით ამა შეფასების დღისათვის.

2. სოფლად მდებარე უძრავი ქონების კანონიერ შეფასებად უნდა ჩაითვალოს შეფასება, რომელსაც მოახდენს სარაიონო საგადასახადო განყოფილების გამგე, შენობებისა და ცოცხალი და უსულო ინვენტარის ღირებულების ცნობების მიხედვით ამა შეფასების დღისათვის.

3. უსასყიდლოდ გადასული ქონების ბაგი, რომელიც შეტანილ არ იქნება ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე და რომელიც 10,000 მანეთს არ აღემატება, მოეხსნას დაინტერესებულ პირთ და აღარ გადაჰხდეს.

4. საურავი უსათუოდ გადასული ქონების ბაჟის თავის დროზე ხაზინაში შეუტანლობისათვის იანგარიშება თვიურად საბაჟო თანხის ათი პროცენტის რაოდენობით; ამასთანვე არა სრული თვე ჩაითვლება სრულ თვედ.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ბ. ბიბინეიშვილი.**  
სახალხო კომისარიატის საბჭოს მდივანი **ა. ხალარაძე.**

1922 ოქტომბრის 1.  
ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 57.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

უსახყადლოდ გადასული ქონების შეფასების წესის შეცვლის გამო 1922 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღითა და 54 № რით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

უსახყადლოდ გადასული ქონების შეფასების წესის შეცვლის შესახებ ამა 1922 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღითა და 54 № ით გამოცემული დადგენილების 1 მუხლის შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს: შემოხსენებული მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

1. ქალაქში მდებარე უსახყადლოდ გადასასვლელი უძრავი ქონების კანონიერ შეფასებად უნდა ჩაითვალოს შეფასება, რომელიც მოხდენილ იყო ქალაქის საბჭოს მიერ ომის დაწყებამდე და რომელიც გადიდებულ უნდა იქნეს ოცდა ათი ათასჯერ.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ქალაქის საბჭოს მიერ არ არის მოხდენილი უძრავი ქონების შეფასება, რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგემ უნდა მოახდინოს, ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის არქიტექტორი თანდასწრებით, სპეციალური შეფასება, რაც დამყარებულ უნდა იქნეს ცნობაზე ქონების ღირებულების შესახებ შეფასების დღისათვის. ყოველივე ხარჯი არქიტექტორის სასყიდლისათვის უნდა გაიღოს იმ პირმა, რომელიც მიიღებს სამკვიდროს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**  
სახალხო კომისარიატის საბჭოს მდივანი **ა. ხალარაძე.**

1922 წ. ნოემბრის 8.  
ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 58

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

მუშათა სახლებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომელნიც პროფესიონალურ კავშირის წევრებად არ არიან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს:

1. გამოსახლება მუშათა სახლებიდან იმ პირებისა, რომელნიც პროფესიონალური კავშირის წევრებად არ არიან, მოხდება ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების დადგენილებით სათანადო კავშირის განცხადების თანახმად.

შენიშვნა: გამოსახლების შესახებ შეტანილ განცხადებაში კავშირმა უნდა აღნიშნოს გამოსასახლებელ პირის სოციალური მდგომარეობა, მისი ოჯახის წევრთა რიცხვი, ოთახების რაოდენობა და სივრცე.

2. კავშირის განცხადება გამოსახლების შესახებ კომუნალურმა განყოფილებამ უნდა განიხილოს სამი დღის განმავლობაში განცხადების მიღებიდან.

3. გამოსასახლებელს ეძლევა ერთი თვის ვადა ახალი ბინის მოსაძებნად. ეს ვადა იწყება იმ დღიდან, როცა მას გადაეცემა კომუნალური განყოფილების უწყება გამოსახლების შესახებ.

4. შესამე მუხლში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ის, ვინც ნებაყოფლობით არ დასცლის სადგომს, აღმინისტრაციული წესით უნდა იქნეს გამოსახლებული.

5. მუშათა სახლებში ჩამოსახლებულ კავშირის წევრთა მიერ გასანთავისუფლებელი ბინები და ოთახები, სამის დღის წინ განთავისუფლებამდე, გადაეცემა საბინაო სექციას სააღსრულოდ და, ფაქტიური განთავისუფლების შემდეგ კი,—გამოსაყენებლად.

6. მუშათა სახლებში განთავისუფლებული ოთახები და ბინები უნდა დაიბეჭდოს საბინაო სექციის ბეჭდით და გადაეცეს სათანადო პროფესიონალური კავშირის განკარგულებაში.

7. კავშირი სამი დღის განმავლობაში მოვალეა გამოიყენოს გადაცემული სადგომი და ჩაახლოოს თავისი წევრები საბინაო სექციის ორდერით.

8. უკეთეს კავშირი სამი დღის განმავლობაში არ გამოიყენებს განთავისუფლებულ ოთახებს, იგი გადადის საბინაო სექციის განკარგულებაში, რომელმაც უნდა გამოიყენოს ეს ოთახები და მხოლოდ პროფესიონალური კავშირის წევრები ჩაახლოოს.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ.  
სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდ. მოადგ. **მ. ორახელაშვილი.**  
სახ. კომ. საბჭ. მდივანი **ა. ხალარაძე.**  
1922 წ. ნოემბრის 28.  
ტფილისი—სასახლე.

# დადგენილება № 60.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სავაჭრო-სამრეწველო სადგომების ქირის გადასახადის გადიდების შესახებ.

ადგილობრივი გადასახადების შესახებ 1922 წ. თებერვლის 5 თარიღით გამოცემული დებულების 64 მუხლის შესაცვლელად და შესავსებად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მაზრებში ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ სავაჭრო-სამრეწველო სადგომების ქირაზე არსებული 2<sup>0</sup>/<sub>0</sub>-იანი გადასახადი გადიდებულ იქნეს 5<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მდე.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარის მოადგილე **მ. ორახელა შვილი.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი  
**ა. გეგუჭკარი**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარაძე**  
1922 წ. ნოემბრის 25  
ტფილისი — სასახლე.

## შინ. საქმ. სახ. კომის.

### შირკულიარულად.

#### სავალდებულო დადგენილება.

მილიციის მოხელეთა ვალდებულების და სანიტარულ ზედამხედველობის შესახებ რესპუბლიკაში.

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში სანიტარული მდგომარეობის ჯეროვან სიმართლეს დაყენების მიზნით წესდება სანიტარულ საექიმო ზედამხედველობის და მილიციის მოვალეობის შეთანხმებითი განაწილება.

1. ქალაქების და სოფლების სანიტარული მეთვალყურეობა ეკისრება სავსებით სანიტარულ საექიმო ზედამხედველობას, რომელსაც აწესებს ჯანმთელეობის განყოფილებანი.

2. სანიტარულ წესრიგის ცხოვრებაში გასატარებლათ, რომელიც აღნიშნულია აღმასრულებელ კომიტეტის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებებში სანიტარულ-საექიმო ზედამხედველობა სარგებლობს მილიციის დახმარებით.

3. მილიციის მოხელენი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შეასრულონ სანიტარულ საექიმო ზედამხედველობის მოთხოვნებიანი, სანიტარის დასაცავად.

4. სავალდებულო სანიტარულ დებულებათა დარღვევის შემჩნევისთანავე მილიციის მოხელენი ვალდებულნი არიან უკანასკნელის შესახებ დაუყონებლივ აცნობონ სანიტარულ საექიმო ზედამხედველობას.

5. მილიციას ეკისრება თვალყური ადევნოს მოქალაქეთ და დაწესებულებათა ქვევით ჩამოთვლილ სავალდებულო დებულებათა თავის თავად შესრულებას.

ა) თავის დროზე დაწმენდა ქუჩების და მოედნების, დროზე ნაგვის გატანა მიჩნეულ ადგილზე და საერთო სისუფთავის დაცვა.

შენიშვნა: ქუჩების დაწმენდა ქალაქებში უნდა ხდებოდეს არა აღრე ღამის 12-საათისა და არა გვიან დღის 7-საათისა.

ბ) აკრძალვა ნაგვის გადაყრისა მდინარეების ნაპირებზე, ამოღრმავებულ ადგილებში და საერთოდ ყველგან გარდა ნაგვისათვის სპეციალურად მიჩნეულ ადგილებისა.

გ) მილიცია ვალდებულია აცნობოს სანიტარულ საექიმო ზედამხედველობას ყოველ საექიმო გამამდებ სნეულების შესახებ, რომელიც იქნება შემჩნეული მისგან.

საერთო კონტროლი ამ პუნქტში აღნიშნულ დებულებათა — ევალება სანიტარულ საექიმო ზედამხედველობას.

შინაგან საქ. სახ. კომისარის  
მოადგილე **ტალახაძე.**

ჯანმთელეობის სახ. კომისარი **კუჭიაძე.**

3 ოქტომბერი, 1922 წ.

### შირკულიარულად.

ყველა მაზრის აღმასკომის თავჯდომარეთ.

თელეგრაფის უფასოდ სარგებლობის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გატყობინებთ, რომ საქართველოს საბჭოთა სოც. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს აწ. 21 სექტემბრის დადგენილების № 30 თანახმად, როგორც აღმასკომებს, ისე მილიციასაც უფლება აქვთ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფასოდ ისარგებლონ ტელეგრაფით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის  
მოადგილე **ვ. ტალახაძე.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

საერთო განყოფილების გამგის  
**მაგ. გ. ბახტაძე.**

9 ოქტომბერი, 1922 წ.

### შირკულიარულად.

ყველა მაზრა ქალაქების და წყლის მილიციის უფროსებს.

ფილიევის შეპყრობის შესახებ

წინადადება გეძლევათ ამის მიღებისთანვე გამოქებნოთ და შეიპყროთ და გადაგზავნოთ ახალქალაქის მაზრის მილიციის უფროსის განკარგულებაში ყოფილი ბარალეთის რაიონის მილიციის უფროსი ყარამან ფილიევი, რომელსაც ბრალიდ ედება ხაზინის ფულის გაფლანგვა.

შინაგან საქმეთა სახალხო

კომისარის მოადგილე ტალახაძე

სამილიციო განყოფილების

უფროსი გ. ქავთარაძე

საადმ. სამწ. ნაწილის უფროსი ნადირაძე.

17 ნოემბ., 1922 წ.

### შირკულიარულად.

ყველა მაზრა-ქალაქის და წყლის მილიციის უფროსებს.

ზოგაევის და დიდებულობის შეპყრობის შესახებ.

წინადადება გეძლევათ გამოქებნოთ, შეიპყროთ და გადაუგზავნოთ: 1) ბორის ალექსანდრეს ძე ზოგაევი 28 წლისა სევასტოპოლის ოლქის მილიციის უფროსს, 2) ნიკოლოზ დიდებულიძე ახალქალაქის მაზრის კომიტეტის თავმჯდომარეს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის

მოადგილე ტალახაძე.

სამილიციო განყოფილების

უფროსი გ. ქავთარაძე.

საადმინისტრაციო სამწყობრო ნაწილის

უფროსი ნადირაძე.

20 ნოემბ., 1922 წ.

### შირკულიარულად.

ყველა სამაზრა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეებს.

ფოსტა-ტელეგრაფით, ტელეფონით და რადიო ტელეგრაფით უფასოდ სარგებლობის მთხპობის შესახებ.

დამატებით ჩვენი ცირკულიარული განკარგულებისა ა. წ. დეკემბრის 9 თარიღით 9/92 №-ით ტელეგრაფ-ტელეფონით სარგებლობის შესახებ, ამით გაცნობებთ, რომ ყოველგვარი შეღავათი საბჭოთა დაწესებულებების მიმართ ფოსტა-ტელეგრაფით, ტელეფონით და რადიო ტელეგრაფით უფასოდ და ნისიად სარგებლობის შესახებ მოსპობილია და ასეთი უნდა სწარმოებდეს ნაღდ ანგარიშზე,

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის

მოადგილე ტალახაძე.

საქმეთა მმართველის

მოადგ. ა. ცინცაძე.

საერთო განყ. გამგე ა. ჩიქოვანი.

## გ ა ნ ც ხ ა ლ ი ბ ა ნ ი

**დაიპარგა** მეტრიკული ამონაწერი, მიღებული სინოდ. კონტ. კანცელარიიდან 1909 წ. № 79 შალვა ლავრენტის ძე წერეთლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიპარგა** მეტრიკული ამონაწერი, მიღებული სინოდ. კონტ. კანცელარიიდან 1918 წ. № 47 პლატონ გიორგის ძე მარგველიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიპარგა** მეტრიკული ამონაწერი, მიღებული სინოდ. კონტ. კანცელარიიდან 1918 წ. № 897 ვახილ ილარიონის ძე თუშისვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიპარგა** მეტრიკული ამონაწერი მიღებული 1896 წელს თელავის სას. კანცელარიიდან ვალერიან ნიკოლოზის ძე სიმეონოვის სახელზე № 3960. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიპარგა** მეტრიკული ამონაწერი, მიღებული 1917 წ. ლიდია ფრანსის ასული განზეს სახელზე № 490. ჩაითვალოს გაუქმ.

**დაიპარგა** მეტრიკული ამონაწერი, მიღებული სინოდ. კონტ. კანცელარიიდან 1920 წ. № 1798 შ. ნანუაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიპარგა** მეტრიკული ამონაწერი, მიღებული ა. წ. აგვისტოში ტფილისის სომეხთა კონსისტორიიდან ალაბეგ მიხეილის ძე ერკენქიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიპარგა** მეტრიკული ამონაწერი, მიღებული 1913 წ. ტფილისის სინოდ. კონტორის კანცელარიიდან № 1618 გიორგი ნახუიდას ძე ბულაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიპარგა** მეტრიკული ამონაწერი, მიღებული 1902 წ. ტფილისის სინოდ. კონტორის კანცელარიიდან მიხეილ იაკობის ძე კვაჭანტირაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმ.

**დაიპარგა** მოწმობა მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბ მეტყველების კაქულტეტის კანცელარიიდან გ. ნაჯუების სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (უ-1)

**დაიპარგა** ქორწინების მოწმობა მიღებული ქ. ტფილისის აღმასკომში ა. წ. 7 თებერვალს მარიამ დავითის ასული მაჭამელოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 113 1-1

**დაიპარგა** მეტრიკული მოწმობა მიღებული 1816 წ. № 300 ვალენტინ ფილიპეს ძე ედანოვიჩ გულინოვიჩის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1-1

**დაიპარკა** მეტრიკა მიღებული სინოდალური კონტორიდან 1911 წ. ამბროსი სიმონის ძე კერვალიშვილის სახელზე. № 479 ჩაითვალოს გაუქმებულად. № 120 1-1

**დაიპარკა** მეტრიკა ვანქის კონსისტორიიდან მიღებული 1908 წ. არტემ ნიკოლოზის ძე არღუტინსკის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 121 1-1

**დაიპარკა** სააღრიცხვო ბარათი მიღებული მე-2 უბნის სამხედრო ხელძღვანელისაგან № 80/225 სერგო სტანისლავის ძე მესარქიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. უ-1

**დაიპარკა** მეტრიკული მიღებული რაქის მარის სოფ. ღვიარის სამრევლო ეკლესიიდან კონდრატი სილიმონის ძე გორგასლიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიპარკა** მეტრიკული ამონაწერი მიღებული 1920 წელს ყოფ. სასულიერო კონსისტორიიდან № 3485 დავით ტროფიმეს ძე იაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 130 1-1

**დაიპარკა** მეტრიკა მიღებული სინოდალური კონტორიდან 1902 წ. 7 მარტს № 62, ნიკოლოზ ნაუმის ძე ჩერნიშის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 122 1-1.

**დაიპარკა** მეტრიკული მოწმობა მიღებული სინოდალური კონტორიდან 1915 წ. № 1997, გიორგი იოსების ძე კაპანაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 123 1-1.

**დაიპარკა** მეტრიკა მიღებული სინოდალური კონტორიდან 1894 წ. № 768 ილია ივანეს ძე მაჭავარიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 126 1-1.

**დაიპარკა** მეტრიკული ამონაწერი მიღებული 1915 წ. ს. სართიჭალის საეკლესიო კანცელარიიდან № 1324 ილია-ილიას ძე ხელთუფლიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიპარკა** მეტრიკული ამონაწერი მიღებული ყოფილ სინოდალურ კონტორის კანცელარიიდან 1921 წ. ვასილ ალექსანდრეს ძე კახიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიპარკა** მეტრიკული ამონაწერი მიღებული ყოფ. სინოდალური კონტორის კანცელარიიდან 1903 წელს № 100 ანდრია ბესარიონის ძე ჭაჭიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიპარკა:** 1) მეტრიკული ამონაწერი მიღებული ჯელალ-ოღლის საეკლესიო კანცელარიიდან ა. წ. სექტემბერს და 2) სააღრიცხვო ბარათი მიღებული სამხედრო სააღრიცხვო უბნის კანცელარიიდან № 1025 ბენიამენ ნიკოლოზის ძე ტონიევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 109 1-1.

**დაიპარკა** მეტრიკული ამონაწერი მიღებული ტფ. ნიკოლოზის ეკლესიის კანცელარიიდან პეტრე მიხეილის ძე გვინინოს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიპარკა** მეტრიკული მოწმობა მიღებული სინოდალური კონტორიდან 1919 წ. № 715, მიხეილ ივანეს-ძე მურუსიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 132 1-1

**დაიპარკა** მეტრიკული ამონაწერი სოფ. ჯოლეივი. წმ. გიორგის ეკლეს. 1922 წ. № 245, მიღებულ ვლადიმერ ბეგლარის-ძე გაბუნიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 132 1-1

თანახმად § 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქარ. რევოლ. კომიტეტის სამმართველო განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქალ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მივიდა აცხადებს, რომ მოქ. მარიაშ ერასტის ასულმა კრიტიკაში შემოიტანა განცხადება მისი გვარის კრიტიკა ბარნაბიშვილზედ შეცვლის შესახებ.

მაგიდის გამგე სიმონიშვილი. საქმისმწარმოებელი ფანიაშვილი.

1-1  
თანახმად დეკრეტის № 28 § 61 და 62 ა.წ. 15 ოქტომბერს ლელიანის თემის სამოქალაქო აღრიცხვის განყოფილებაში თადეოზ ფარსადანის ძე შეყრილაძემ შემოიტანა განცხადება, რომ როგორც მისი, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების ცოლის ნატალია ივანეს ასულის და შვილების: მიხეილის, პახომის, ელენას, კონსტანტინესი და აპოლონის გვარი შეყრილაძე შეცვლილი იქნეს ცინაურით.

სამოქალაქო აღრიცხვის თავმჯდომარე პ. მაჩაიძე. მდივანი ჯავახია.

თანახმად საქართველოს რევოლუცი. კომიტ. 1921 წლის 27 №-რი დეკრეტის 68 მუხ. ქ. ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილების მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების მაგიდა აცხადებს, რომ მატრონა ალექსის ასული ლოგვინოვმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის ლოგვინოვის-ლიხენკოზე შეცვლის შესახებ.

მაგიდის გამგე ფანიაშვილი. საქმის მწარმოებელი ჩიქოვანი.

1-1  
ფოთის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო აცხადებს რომ მ-ქე ალექსანდრე ბესარიონის ძე შაუდიას დაჰკარავია სამი თვის პირადობის მოწმობა, მიღებული ამავე სამმართველოდან 22 აგვისტოდან № 209/2296, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

ფოთის მილიციის უფროსის მოადგილე გ. დარჩია. კანცელარიის მმართველი ბ. შელია.

სენაკის სამაზრო მ. მ. ა. ჩის ქვეგანყოფილება აცხადებს, რომ ა. წ. 12 იანვარს თანახმად დეკრეტის № 28 § 61, 62 მოქალაქე არონ იავორიძე შელიამ შემოიტანა განცხადება მისი სახელის არონ ალექსანდრედ შეცვლის შესახებ.

(ნის.)

ფინანსთა კომისარიატის არაპირდაპირ გადასახდთა განყოფილება ამით აცხადებს, რომ ღვინის გადასატანი მოწმობები გაცემული 7 და 31 ივლისს 1922 წლ. №№ 6114 და 12526 ქ. დუშეთში ალექსანდრე კახარიშვილის და ნესტორ თედეგვის სახელზე 80 და 180 ვედრო, პატრონებს დაუქარავთ, რომლებს ნაცვლადაც გაცემულია ასლები და დედანი გაუქმებულია.

ფინანსთა კომისარიატის არაპირდაპირ გადასახდთა განყოფილება ამით აცხადებს, რომ ღვინის გადასატანი მოწმობები, რომელიც იყო მიღებული 24 აგვისტოს 1922 წ. № 533 და 28 აგვისტო 1921 წ. № 4999-ით ნიჟნი ნოვოგოროდში წასაღებად 1033, 1 ვედროს და 10.000 ვედროს და ღვინის დროებითი მოწმობა მიცემული 11 ოქტომბერს 1922 წ. № 284-ით ხეჩუევის და ნიკოლაიშვილის სახელზე სულ 400 ვედროს, პატრონებს დაუქარავთ, რომლის მაგივრად გაცემულია ასლები და დედანი გაუქმებულია.

თანახმად § 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართვ. რევოლ. კომიტეტის სამმართველო განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს, რომ მოქ. რუბენ არშაკის-ძე მაისურიანცმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის მაისურიანცი მაისურაძეზე შეცვლის შესახებ,

№ 127 1—1

მაგიდის გამგე სიმონიშვილი.

საქმის მწარმოებელი ფინიაშვილი.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქარო. რევოლ. კომიტეტის განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. ტფილისის აღმას. კომიტ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს, რომ მოქ. სტეფანე მიხეილის-ძე გუგუჩკინმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის გუგუჩკინი ელანსკიზე შეცვლის შესახებ.

№ 142 1—1

მაგიდის გამგე შარაშენიძე

საქ. მწარმოებელი (ხელის მოწერა).

ფოთის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ მ-ქე ვახილ იახონის-ძე საბუნტარაშვილს დაკარგვია ფოთის ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების ატესტატი მიღებული იმავე გიმნაზიიდან 19 ივნისს 1922 წ. № 514, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

ფოთის მილიციის უფროსის მოად. ვ. დარჩია.

კანცლარიის მმართველი რ. შელია.

ფოთის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ მოქ. იოსებ [ლენდო] რეს-ძე უფარაძეს დაკარგვია პირადობის მოწმობა მიცემული მარტვილის თემის აღმასკომიდან, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

ფოთის მილიციის უფროსის მოად. ვ. დარჩია.

კანცლარიის მმართველი რ. შელია.

არაპირდაპირ გადასახდთა განყოფილება ამით აცხადებს, რომ 1922 წლ. 10 იანვარს 141 №-თ მისგან „ენფიანჯიანცის“ —თამბაქოს ფაბრიკის სახელზე გაცემული მოწმობა, რომლითაც უკანასკნელს უფლება ეძლეოდა 1921 წლ. განმავლობაში თბილისის ხაზინიდან თამბაქოს ნაწარმოებისათვის ბანდეროლების გამოტანის შესახებ, ასეთი მოწმობა დაკარგულია და მის ნაცვლად მას მიეცა ამ მოწმობის ასლი. დაკარგულს მოწმობას ძალა არ აქვს.

(6)

თელავის უბნის სახალხო მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ბეჟან გიორგის-ძე შეყლაძის მემკვიდრეებს ათი თვის განმავლობაში დარჩენილ ქონებაზე თავიანთ უფლებების გამოსაცხადებლათ, თელავის სახალხო მოსამართლე.

№ 108, 1—1

რაჭის მაზრის, ამბროლაურის უბნის. სახალხო მოსამართლე იწვევს, 3 მაისს 1920 წელში გარდაცვალებულ მოქალაქის პეტრე დემეტრეს ძის რატვიანის მემკვიდრეებს, რომ მათ კანონით დაწესებულ დროის განმავლობაში განაცხადონ თავიანთი უფლება გარდაცვალებულის ქონების მემკვიდრეობაზე.

სახალხო მოსამართლე ი. წულუკიძე.

მდივანი ლომთაძე.

დუშეთის უბნის სახალხო მოსამართლე ამით აცხადებს, რომ მის დადგენილებით, შემდგარი ოქტომბრის 192 წ. მოქალაქე დუშეთის მცხოვრებ გადაცვალებული ვლადიმერ ადამის-ძე ყარანგოზიშვილის სასულიერო ანდერძი, რომელიც არის შემდგარი ქალაქ ბაქოს ნოტარიუს ტრუსიეთან 1904 წელსა 28 ივნისსა, ნუსხით № 2997 რომლითაც იგი უძრავ და მოძრავ ქონებას უანდერძებს თავის ცოლს კარალინა არჩილბაღის ასულის ყარანგოზიშვილისას დამტკიცებულია შესრულებისათვის.

სახალხო მოსამართლე ვ. კორინთელი.

თანახმად § 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართ. რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წლ. 28 აპრილის ქალ. ტფილისის აღმასკომის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს, რომ მოქ. ევდოკია ნიკოლოზის ასულმა გრიგოლაშვილმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის გრიგოლაშვილ ბარაბაეზე შეცვლის შესახებ.

მაგიდის გამგე ფინიაშვილი,

საქმის მწარმოებელი ჩიქოვანი.